**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი**

**ეროვნული კომისიის**

**დადგენილება №69**
**2021 წლის 29 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლებისა და და „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №5) მე-18 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) $5^1$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $5^2$ მუხლი:

**„მუხლი $5^2$. ელექტროენერგიის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფი**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ელექტროენერგიის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი 7 226 ლარი/დღე – 2022 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 1 იანვრამდე;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე** | **დავით ნარმანია** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფანგანი** |
| **კომისიის წევრი** | **მაია მელიქიძე** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფრუიძე** |